პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №---
..... ნოემბერი 2026 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების გაცემული საცნობი ნიშნის ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 03/11/2010; სარეგისტრაციო კოდი: 310150000.35.132.016008).

მუხლი 4

1. წინამდებარე დადგენილება, გარდა დადგენილების მე-2 მუხლისა, აგრეთვე დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების წესის“ მე-5 და მე-6 მუხლებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთავანე.

2. წინამდებარე დადგენილების მე-2 მუხლი, აგრეთვე დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების წესის“ მე-5 და მე-6 მუხლები ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ივანე მაისურაძე**

დანართი №1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესებს.

2. წინამდებარე წესი არეგულირებს ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესებს იმ შემთხვევაშიც, როცა მიწის ნაკვეთი განკუთვნილი არ არის მხოლოდ პარკირების სპეციალური ადგილებისათვის, არამედ პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირება წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე უკვე მიმდინარე ძირითადი საქმიანობის დამატებით საქმიანობას და პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა ემსახურება ძირითადი საქმიანობის უკეთ განხორციელებას (მაგ. : სასტუმროების მიერ საკუთარი ტაქსების ქონა, რომლებიც მოემსახურება თუნდაც მხოლოდ ამავე სასტუმროში დაბინავებულ პირს).

3. წინამდებარე წესი არეგულირებს ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა ტერიტორიებზე პარკირების ორგანიზების უფლების მესამე პირისათვის გადაცემის წესებს.

4. თუ ტერიტორია, რომელიც არ წარმოადგენს ქუჩას ან/და სხვა საზოგადოებრივ სივრცეს, არამედ იგი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე ან/და კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაციას, განსაზღვრული იქნა პარკირების ადგილებისათვის, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობისა და განკარგვის მიმართ გამოიყენება წინამდებარე წესის მოთხოვნები.

5. წინამდებარე წესი არ არეგულირებს:

ა) ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) ავტოსადგურების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესებს;

დ) ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესებს იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთი განკუთვნილი არ არის

მხოლოდ პარკირების საერთო ადგილებისათვის, არამედ პარკირების საერთო ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირება წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე უკვე მიმდინარე ძირითადი საქმიანობის დამატებით საქმიანობას და პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა ემსახურება ძირითადი საქმიანობის უკეთ განხორციელებას (მაგ. : სასტუმროების მიერ მათ ტერიტორიაზე ამავე სასტუმროში დაბინავებული პირის მართვის ქვეშ არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირება);

ე) ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების ორგანიზების უფლების სხვა პირისათვის გადაცემის საკითხებს;

ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების პუნქტებში (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესებს;

ზ) იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების პარკირებაზე, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო საქმიანობისათვის, მათ შორის, მიწის სამუშაოებისათვის (ყველა სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა), თუ სატრანსპორტო საშუალების პარკირება ხდება სამშენებლო მოედანზე ან/და ასეთი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან/და მფლობელი მომსახურების გაწევისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების მიზნით არ ახდენს იმ ტერიტორიაზე პარკირებას, რომელიც არ იმყოფება მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში.

მუხლი 2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ვტომანქანების პარკირების წესის ამოცანები

წინამდებარე წესის ამოცანებია:

ა) ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზებულობის უზრუნველყოფა;

ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დ) ქვეითად მოსიარულეთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;

ე) მგზავრთა გადაყვანის მიზნით ტექნიკურად გამართული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების უზრუნველყოფა;

ვ) პარკირების სფეროს განვითარება;

ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზებულობით:

ზ.ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისას ან/და მოძრაობისას დაბრკოლებების გამორიცხვა;

ზ.ბ) ორმაგი პარკირების გამორიცხვა;

თ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალება – ყველა სახის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება;

ბ) გზა - მოძრაობისათვის გახსნილი გზის ან ქუჩის მთელი ზედაპირი. გზას შეიძლება ჰქონდეს როგორც ერთი სავალი ნაწილი, ისე რამდენიმე, გამყოფი ზოლით

მკვეთრად გამოჯნული ან სხვადასხვა დონეზე არსებული სავალი ნაწილები. ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს ტრამვაის ლიანდაგს, ტროტუარს, გვერდულას, გამყოფ ზოლსა და ველობილიკს;

გ) მესამე პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტი, რომელსაც წინამდებარე წესის შესაბამისად გადაცემული (მინიჭებული) აქვს პარკირების ორგანიზების უფლება;

დ) პარკირება – ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის გამიზნულად შეწყვეტა (დგომა), თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომას ან ავტოსატრანსპორტო საშუალების დატვირთვა-გადმოტვირთვას;

ე) პარკირების ადგილები – ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის განკუთვნილი ადგილები;

ვ) პარკირების საერთო ადგილები – პარკირების ადგილები, სადაც პარკირების უფლება აქვს ყველა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებული არ არის პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ან ტერიტირიაზე, სადაც მდებარეობს პარკირების საერთო ადგილები, ზოგადად აკრძალული არ არის კონკრეტული სახეობის ავტოსატრანსპორტო საშუალების შესვლა, მოძრაობა, დგომა ან გაჩერება;

ზ) პარკირების სპეციალური ადგილები – პარკირების ადგილები, რომლებიც წინამდებარე წესის შესაბამისად განისაზღვრება მომსახურების სფეროს ან/და სხვა ნიშნის მიხედვით დაჯგუფებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის;

თ) პარკირების ორგანიზება - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ან მესამე პირის მიერ წინამდებარე წესის შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების უფლება;

ი) პარკირების ორგანიზების უფლება -ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ან მესამე პირის მიერ წინამდებარე წესის შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება;

კ) საგზაო მოძრაობა – გზაზე სატრანსპორტო საშუალებით ან მის გარეშე მოძრაობისას ან განლაგებისას საგზაო მოძრაობის მონაწილეთა შორის წარმოქმნილი ურთიერთობები;

ლ) საგზაო მოძრაობის მონაწილე – პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მოძრაობის პროცესში როგორც მძღოლი, მგზავრი ან ქვეითი;

მ) სატრანსპორტო საშუალება – გზაზე მოძრავი ან გზაზე მოძრაობისათვის განკუთვნილი მოწყობილობა, რომელიც ძრავას ან სხვა ძალის მეშვეობით გადაადგილდება;

ნ) საზოგადოებრივი სივრცე – განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, სკვერი, პარკი, ბაღი, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები, რომლებიც ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას ხელმისაწვდომია ადამიანებისათვის;

ო) სამშენებლო მოედანი – მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და მისი მომსახურებისათვის;

პ) საცნობი ნიშანი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ამ წესის შესაბამისად გაცემული ნიშანი;

ჟ) სპეციალური დაცული სადგომი – საჯარო სადგომი, სადაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაყვანა;

რ) ტაქსი – შესაბამისი საცნობარო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომობილი, რომელიც გამოიყენება გზაზე მგზავრთა არაერთჯერადად გადაყვანისათვის, მაგრამ აღნიშნული საქმიანობა არ წარმოადგენს რეგულარულ გადაყვანას;

ს) ტროტუარი – გზის ელემენტი, რომელიც მიერთებულია სავალ ნაწილთან ან გამოყოფილია მისგან გაზონით და განკუთვნილია ქვეითის მოძრაობისათვის;

ტ) ქვეითი – საგზაო მოძრაობის მონაწილე, რომელიც ფეხით გადაადგილდება ან გადასაადგილებლად გორგოლაჭებს, გორგოლაჭებიან დაფას ან სხვა მსგავს საშუალებას იყენებს. ქვეითთან გათანაბრებულია პირი, რომელსაც მიჰყავს საბავშვო ეტლი ან სავარძელ-ეტლი ანდა სხვა მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალება ძრავას გარეშე, აგრეთვე ველოსიპედის, მოპედის ან მოტოციკლის ქვეითად გადამყვანი პირი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც სავარძელ-ეტლით გადაადგილდება;

უ) ქუჩა – გზის ელემენტი, განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში გადაადგილებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი სივრცის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ნაწილი;

ფ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი – საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად მნიშვნელოვნად, ზომიერად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 4. საერთო მოთხოვნები ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის მიმართ

1. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყველა სახეობის პარკირების ადგილების მიმართ, თუ ამავე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პარკირებისათვის განსაზღვრული ადგილები სახანძრო ჰიდრანტის, საკანალიზაციო და სანიაღვრე ჭების, ნარჩენების შემკრები კონტეინერების განთავსების ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ ორი მეტრით, ხოლო გზაჯვარედინებზე ქუჩების გადაკვეთის დაწყების ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრით.

3. აკრძალულია პარკირებისათვის გამოყენებულ იქნეს:

ა) ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილია ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელებისათვის;

ბ) მონიშნული საველოსიპედო ბილიკები;

გ) ავტობუსების, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის და მათი სვლაგეზის მიმართულებით მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისათვის (ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის) განკუთვნილი ადგილები;

დ) ქუჩა მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელზეც შესვლა ან მოძრაობა აკრძალულია.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში პარკირების ადგილების განსაზღვრისას, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა) ქალაქის განვითარების ინტერესები;

ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;

გ) სატრანსპორტო ნაკადი;

დ) ქუჩების გამტარუნარიანობა;

ე) საგზაო მოძრაობის წესები;

ვ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

ზ) საქალაქო და საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სამარშრუტო სქემა;

თ) ეკოლოგიური მდგომარეობა;

ი) საზოგადოების სხვა ინტერესები.

5. პარკირების სპეციალურ ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტო-სატრანსპორტო საშუალებების პარკირება, რისთვისაც განკუთვნილია პარკირების აღნიშნული ადგილები, თუ ამავე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან სხვა პირს, რომელიც მართავს შესაბამისი საცნობი ნიშნის მატარებელ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, პარკირების უფლება აქვს სპეციალური პარკირების ადგილებზე, თუ უახლოესი 100 მეტრის რადიუსში არ არის განსაზღვრული პარკირების საერთო ადგილები და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება გამოწვეულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჩასხდომისათვის ან გადმოსხდომისათვის.

7. ადგილები, სადაც პარკირება ფასიანია ან აკრძალულია, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საგზაო ნიშნებით ან/და შესაბამისი საგზაო მონიშვნით.

8. ფასიანი პარკირების ადგილები, შესაბამისი საგზაო ნიშნების ან/და საგზაო მონიშვნის გარდა აღჭურვილი უნდა იყოს პარკირების პირობების ამსახველი საინფორმაციო დაფით და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოწყობილობებითა და საშუალებებით.

9. პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების შემთხვევაში, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებუ-ლია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. იკრძალება და პარკირების წესების დარღვევად ჩაითვლება პარკირების საერთო ადგილების გამოყენება გარე ვაჭრობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავების, სხვა მომსახურების და ნებისმიერი სახით რეკლამის გავრცელებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარკირების ადგილების გამოყენება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით ხდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებისათვის.

11. ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, მათ შორის ტროტუარზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისას, სადაც განთავსებული

არ არის პარკირების საცნობარო ნიშანი ან/და მონიშვნის ნიშანი, ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ავტოსატრანსპორტო საშუალების ქუჩის იმ ადგილებზე პარკირებისას, სადაც დგომა ან გაჩერება აკრძალულია, ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ქუჩებში განსაზღვრული პარკირების ადგილები მონიშვნის ხაზით გამიჯნული უნდა იყოს ტერიტორიის სხვა ნაწილისაგან.

14. აკრძალულია პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება მონიშვნის ხაზის დარღვევით – მონიშვნის ხაზს გარეთ.

15. სავალდებულოა პარკირების საერთო ადგილებზე რამდენიმე ადგილი გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადამყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისათვის. ამ მიზნით გამოყოფილი ადგილები აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საცნობარო ნიშნით.

16. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისათვის განკუთვნილ ადგილზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება, რომელსაც აქვს შესაბამისი საცნობი ნიშანი.

17. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის, პარკირება დასაშვებია, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ პარკირების დაწყებისა და დასრულების დროს არ ხდება მესამე პირისათვის მომსახურების გაწევა და თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ზოგადად არ არის აკრძალული კონკრეტული სახეობის ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომა ან გაჩერება.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტის მიზნებისათვის, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული არ ჰქონდეს ის საცნობარო ნიშანი, რომლის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებაც სავალდებულოა იმ მომსახურების გაწევის დროს, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა. სხვა შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

19. პარკირების ადგილების განსაზღვრა ან/და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა არ ზღუდავს ან/და არ კრძალავს, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, გამოყენებულ იქნეს კომუნალური ინფრა-სტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქციარეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის. თუ აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ადგილებს მოიცავს მესამე პირისათვის გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, ასეთი გადაწყვეტილება შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-12 მუხლის ნორმები.

20. პარკირების ადგილების განსაზღვრა ან/და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა უფლებამისილ ორგანოს არ უზღუდავს ან/და არ უკრძალავს

მიიღოს გადაწყვეტილება, ადგილი, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აღარ განსაზღვროს პარკირების ადგილად. ასეთი გადაწყვეტილება, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის შემთხვევაში, შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-12 მუხლის ნორმები.

მუხლი 5. საცნობი ნიშნის გაცემა, საცნობი ნიშნის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცნობი ნიშნის გაცემასთან დაკავშირებით განცხადების ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენაზე, ერთიან ციფრულ რეესტრში მონაცემთა შეყვანასა და საცნობი ნიშნის დამზადებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის სამსახური (შემდგომში – სამსახური).

2. საცნობი ნიშანი წარმოადგენს პერსონალურ დოკუმენტს, რომელიც გაიცემა უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე (და არა კონკრეტულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე) და მისი გამოყენება ნებადართულია ნებისმიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომლითაც მოცემულ მომენტში მგზავრობს ან გადაადგილდება საცნობი ნიშნის მფლობელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

3. საცნობი ნიშნის გაცემის მიზნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან მინდობილი პირი, ან კანონიერი წარმომადგენელი წარადგენს განცხადებას მატერიალური ფორმით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში ან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სერვისცენტრებში, ან ელექტრონულ განცხადებას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ ფოსტაზე: info@batumi.ge. განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) მინდობილობა ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (განცხადების მინდობილი პირის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენის შემთხვევაში);

გ) „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №3-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4 ან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2024 წლის 31 იანვრის №7/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1.3-ის შესაბამისად გაცემული „შემოწმებულ პირზე გადასაცემი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი“ (ფორმა №IV-50/4) ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2007 წლის პირველ იანვრამდე მუდმივი სტატუსის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ამავე საფუძვლით სახელმწიფო გასაცემლის (სახელმწიფო კომპენსაცია ან სოციალური პაკეტი) მიღების შესახებ გაცემული დოკუმენტი.

4. სამსახური უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი – მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

5. საცნობი ნიშანი გაიცემა პირისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის მინიჭების ვადით, ხოლო უვადო სტატუსის მქონე პირებზე – უვადოდ.

6. საცნობი ნიშნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მფლობელი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

7. საცნობი ნიშნის დაკარგვის ან დაზიანებისას მისი აღდგენის თხოვნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება 10 (ათი) ლარის ოდენობით.

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გაიცემა ერთი საცნობი ნიშანი ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადამყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისათვის განკუთვნილ ადგილზე პარკირების და საცნობი ნიშნის გამოყენების მონიტორინგს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ ელექტრონული საინფორმაციო სისტემებისა და მობილური ჯგუფების მეშვეობით.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგნაირად: სისტემური ვერიფიკაცია – ინსპექტორი სპეციალური მობილური მოწყობილობის (პლანშეტის) მეშვეობით ასკანერებს ავტოსატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე განთავსებული საცნობი ნიშნის უნიკალურ QR კოდს, რითაც რეალურ დროში მოწმდება საცნობი ნიშნის ნამდვილობა და აქტიური სტატუსი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ერთიან ციფრულ რეესტრში; ფაქტობრივი ვერიფიკაცია – ვინაიდან საცნობი ნიშნანი პერსონალურია, ინსპექტორს უფლება აქვს გადაამოწმოს, ემსახურება თუ არა მოცემულ მომენტში ავტოსატრანსპორტო საშუალება უშუალოდ საცნობი ნიშნის მფლობელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მანქანაში ყოფნის, ან ახლომდებარე ტერიტორიიდან მისი ჩასხდომა/გადმოსხდომის ფაქტის დადასტურებით).

11. თუ ფაქტობრივი ვერიფიკაციისას გამოვლინდა, რომ საცნობი ნიშნით სარგებლობს მესამე პირი ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალება არ ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, აღნიშნული ითვლება პარკირების წესების დარღვევად, რაც იწვევს კანონმდებლობით გათალისწინებულ პასუხისმგებლობას, ხოლო გამოვლენილი საცნობი ნიშნის მოქმედება შეჩერდება ექვსი თვის ვადით.

მუხლი 6. სხვა მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული საცნობი ნიშნების ურთიერთაღიარების მექანიზმი

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მობილობისა და უფლებების დაცვის საყოველთაო პრინციპით და თავის ტერიტორიაზე სრულად აღიარებს საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების მიერ გაცემულ საცნობ ნიშნებს.

2. სხვა მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საცნობი ნიშნის მქონე პირთა (ავტოსატრანსპორტო საშუალების) ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგნაირად:

ა) სხვა მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური, მატერიალური სახის ბარათის/საცნობი ნიშნის ავტოსატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე თვალსაჩინო განთავსება წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართვის ქვეშ არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადამყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი პარკირების ადგილებით უფასოდ სარგებლობის პირდაპირ სამართლებრივ საფუძველს;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს და სხვა შესაბამის მუნიციპალიტეტს შორის მონაცემთა ბაზის ურთიერთგაცვლის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვერიფიკაციასთან ერთად გამოიყენება მე-5 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული სიტემური ვერიფიკაცია.

3. სხვა მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საცნობი ნიშნით ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოყენების ფაქტის გამოვლენა (როდესაც საცნობი ნიშნით სარგებლობს მესამე პირი ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალება არ ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს) იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, ხოლო საცნობი ნიშნის ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოყენების თაობაზე ეცნობება შესაბამის მუნიციპალიტეტს.

მუხლი 7. პარკირების სახეობები

1. წინამდებარე წესის მიზნებისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ადგილები იყოფა ორ ძირითად სახეობად – პარკირების საერთო ადგილები და პარკირების სპეციალური ადგილები.

2. პარკირების სპეციალური ადგილები თავის მხრივ იყოფა შემდეგ ქვესახეობებად:

ა) ტაქსების პარკირების ადგილები;

ბ) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილები, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში.

3. წინამდებარე წესის მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების მომწესრიგებელი ნორმები ვრცელდება ასევე ყველა იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების პარკირებაზეც, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო საქმიანობისათვის, მათ შორის, მიწის სამუშაოებისათვის (ყველა სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა), თუ ასეთი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი მომსახურების გაწევისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების მიზნით ახდენს იმ ტერიტორიაზე პარკირებას, რომელიც არ იმყოფება მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განსაზღვროს პარკირების სპეციალური ადგილების სხვა ქვესახეობები. პარკირების სპეციალური ადგილების ქვესახეობის განსაზღვრასთან ერთად სავალდებულოა განისაზღვროს პარკირების აღნიშნული ადგილებით სარგებლობის წესებიც.

მუხლი 8. პარკირების ორგანიზება

1. პარკირების ორგანიზებას ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ან მესამე პირი წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის, პარკირების საერთო ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესების დადგენას (პარალელური დგომა, 90-გრადუსიანი დგომა ან/და 45-გრადუსიანი დგომა);

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივი შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას;

გ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე ცალკეული ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისათვის გარკვეული მოთხოვნების შემუშავებას და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას;

დ) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის განსაზღვრას და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას, თუ პარკირების საფასურის ამოღებას ახდენს მერია;

ე) პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასურის განსაზღვრას და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას;

ვ) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის ამოღებას, თუ აღნიშნულ ადგილებში პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემული არ აქვს მესამე პირს;

ზ) პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებების, ასევე მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმებების მომზადებას და აღმასრულებელი ორგანოსადმი ხელმოსაწერად წარდგენას;

თ) კონტროლის განხორციელებას ხელშეკრულების მხარის მიერ სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობების განხორციელებაზე, ამ მიზნით ხელშეკრულების მხარი-სათვის ხელშეკრულებიდან (ოქმიდან) გამომდინარე გაფრთხილებებისა და სხვა შეტყობინებების გაგზავნას, ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მხარისათვის დამატებითი ვადების დაწესებას, ხელშეკრულების მხარის მიერ სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობების დარღვევისას პირგასამტეხლოს დაკისრების ან/და დადგენილი წესით მისგან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხის განხილვას და აღმასრულებელი ორგანოსადმი ხელმოსაწერად შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენას, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას;

ი) მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, თუ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ხდება საფასურის დაწესება, პარკირების საერთო ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას, პარკირების საერთო ადგილების

შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობისათვის ვადების განსაზღვრას;

კ) მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების სპეციალური ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, პარკირების სპეციალური ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას, პარკირების სპეციალური ადგილების შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობისათვის ვადების განსაზღვრას;

ლ) პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლიანი ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი წარდგენას;

მ) პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლიანი ფორმით აუქციონის წესით განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებას, საუქციონო პირობების შემუშავებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი წარდგენას;

ნ) პარკირების ორგანიზების უფლების წინამდებარე წესით გათვალისწინებული პირებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, რაც გაიცემა წერილის სახით;

ო) პარკირების ადგილების შესაბამისი საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას, პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას, თუ არ ხდება პარკირების ორგანიზების უფლების მესამე პირისათვის გადაცემა;

პ) საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

3. პარკირების ადგილების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილების მიმართ, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, მესამე პირის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ორგანიზების უფლების მინიჭების აქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ვ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

4. პარკირების ადგილების სასყიდლით გადაცემისას, პარკირების ადგილების მიმართ, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, მესამე პირის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესებას და საფასურის ოდენობის განსაზღვრას;

ვ) პარკირების ორგანიზების უფლების მინიჭების აქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ზ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

5. ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესებას და საფასურის ოდენობის განსაზღვრას;

ვ) პარკირების ადგილების მოწყობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის წერილით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ზ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია პარკირების ორგანიზება მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით.

მუხლი 9. პარკირების საფასური, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასური და მათი განსაზღვრის წესი

1. წინამდებარე წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილებით ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილით სარგებლობისათვის შეიძლება დაწესდეს საფასური, თუ პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემული არ არის მესამე პირზე წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის შემოღების ან/და გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას ქალაქ ბათუმის მუიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იღებს და პარკირების ადგილებით სარგებლობის საფასურის ოდენობას განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარკირების საფასურის ამოღებას ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უშუალოდ ან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა პირის მომსახურების გამოყენებით.

4. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური შეიძლება იყოს დიფერენცირებული ქალაქ ბათუმის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონებად დაყოფის მიხედვით ან/და საფასური შეიძლება შემოღებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის.

5. წინამდებარე წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილის ორგანიზების უფლება ექვემდებარება ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტისათვის გადაცემას სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

6. პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას, გადაცემის საფასურის წლიური მინიმალური ოდენობის განსაზღვრის მიზნით დგინდება პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური.

7. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიულ საფასურს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

8. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დგინდება პარკირების ადგილებისათვის განსაზღვრული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის ან/და პარკირების საფასურის ამოღების შედეგად მიღებული თანხის (მიღებული მთლიანი თანხის ან მოგების) პროცენტული ოდენობის განსაზღვრით.

9. პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას, გადაცემის საფასურის წლიური ოდენობა არ შეიძლება იყოს პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიულ საფასურზე ნაკლები.

10. თუ პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დგინდება ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ან/და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის ნორმატიულ ოდენობაზე ნაკლები.

11. ამ მუხლის შესაბამისად პარკირების საფასური შეიძლება დაწესდეს პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთეული დგომისათვის ან/და დაწესდეს პარკირების წლიური საფასური.

12. პარკირების საფასური გადახდილი უნდა იქნეს პარკირების დაწყებისთანავე, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ პარკირება მოხდა საფასურის გადახდის გარეშე, რასაც უკავშირდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგები.

მუხლი 10. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა

1. წინამდებარე წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილის ორგანიზების უფლება ექვემდებარება ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტისათვის გადაცემას.

2. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა შეიძლება მოხდეს პირდაპირი განკარგვის ან აუქციონის წესით; ხოლო პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი განკარგვის წესით შეიძლება გაიცეს როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ.

3. პარკირების ორგანიზების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემათ:

ა) სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

გ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

დ) სახელმწიფოს ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

ე) დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებს და მისიებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

4. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, რაც გაიცემა წერილობით, თანხმობის სახით.

5. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნასთან ერთად ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წარმოუდგენენ პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების ადგილების კეთილმოწყობისა და პარკირების ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესებს (პარალელური დგომა, 45- გრადუსიანი დგომა, 90- გრადუსიანი დგომა), თუ პარკირების ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, უკვე დადგენილი არ არის აღნიშნული წესები ან/და მიზანშეწონილია ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის უკვე დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესების დადგენა;

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან პარკირე-ბისათვის გადაცემული ადგილების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად, კეთილმოწყობა განახორციელონ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, თანხმობის წერილით დაწესებულ ვადაში.

7. დაუშვებელია უსასყიდლოდ გადაცემულ იქნეს პარკირების სპეციალური ადგილების ორგანიზების უფლება.

8. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია რაიმე სახის საფასურის დაწესება.

9. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია გამოყენებულ იქნე ს პარკირების სპეციალურ ადგილებად.

10. პარკირების ორგანიზების უფლება სასყიდლით პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემათ:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის;

ბ) სახელმწიფოს ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

გ) ნებისმიერ მეწარმე სუბიექტს (ინდივიდუალური მეწარმე და კერძო სამართლის იურიდიული პირი) მათ საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული იმ შენობა-ნაგებობების უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიაზე, რომლებშიც აღნიშნული პირები ახორციელებენ თავიანთ ძირითად საქმიანობას;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მიმართ ერთიანი წესების მოქმედების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დარჩენილ ნაწილში პარკირების ორგანიზების უფლება სასყიდლით პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემა პირს, რომელსაც პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრის მიზნით, პარკირების ორგანიზების უფლება წინამდებარე წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გადაცემული აქვს იმდაგვარად, რომ პარკირების ორგანიზების უფლება არ მოიცავს სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებულ პარკირების ადგილებს, ან/და ერთ ლოტში გაერთიანებით პარკირების კონკრეტულ ადგილებს, არამედ პირს უფლება აქვს პარკირების ორგანიზების უფლება განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რომელიმე ნაწილში.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის მოთხოვნასთან ერთად წარმოადგინონ პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების ადგილების კეთილმოწყობისა და პარკირების ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესებს (პარალელური დგომა, 45- გრადუსიანი დგომა, 90- გრადუსიანი დგომა), თუ პარკირების ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, უკვე დადგენილი არ არის აღნიშნული წესები ან/და მიზანშეწონილია ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის უკვე დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესების დადგენა.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან პარკირებისათვის გადაცემული ადგილების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობა განახორციელონ პარკირების ორგანიზების უფლების მიმნიჭებელი აქტით დაწესებულ ვადაში.

13. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, დააწესონ საფასური, ან/და პარკირების ადგილები გამოიყენონ მხოლოდ სამსახურებრივი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობისათვის ან დააწესონ მისით სარგებლობის სხვა შეზღუდვები და აკრძალვები.

14. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემისას, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია გამოყენებულ იქნე ს პარკირების სპეციალურ ადგილებად.

15. პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 11. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემა

1. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

2. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემა შეიძლება მოიცავდეს სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით მხოლოდ ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებულ პარკირების ადგილებს, ან/და ერთ ლოტში გაერთიანებით პარკირების ადგილებს, რომლებიც სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით ერთმანეთთან უწყვეტად არ არიან დაკავშირებული, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მხოლოდ პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრის მიზნით, პარკირების ორგანიზების უფლება აუქციონის წესით შეიძლება გაიცეს იმდაგვარად, რომ პარკირების ორგანიზების უფლება არ მოიცავდეს სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით მხოლოდ ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებულ პარკირების ადგილებს, ან/და ერთ ლოტში გაერთიანებით პარკირების კონკრეტულ ადგილებს, არამედ პირს უფლება ექნება პარკირების ორგანიზების უფლება განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში.

4. აკრძალულია პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას ერთ ლოტში გაერთიანდეს პარკირების სხვადასხვა სახეობას ან/და პარკირების ერთი სახეობის სხვადასხვა ქვესახეობას მიკუთვნებული პარკირების ადგილები.

5. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე პარკირების საერთო ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, დადგენილი უნდა იყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის წესები (პარალელური დგომა, 45- გრადუსიანი დგომა, 90- გრადუსიანი დგომა), გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისა.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას, პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა და აღნიშნულ ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის წესები (პარალელური დგომა, 45- გრადუსიანი დგომა, 90- გრადუსიანი დგომა) დგინდება პირის, რომელსაც გადაეცა პარკირების ორგანიზების უფლება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისადმი წარდგენილი წინადადებების საფუძველზე. აღნიშნულის შესაბამისად პარკირების ადგილების განსაზღვრა ხდება ერთდროულად ან ეტაპობრივად, შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

7. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე პარკირების სპეციალური ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, წინამდებარე წესის შესაბამისად დადგენილი უნდა იყოს ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალება აღნიშნულ ადგილზე პარკირებისათვის.

8. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე, თუ პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, საჭიროებს კეთილმოწყობას, საცნობარო ნიშნებით აღჭურვას და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, ისინი უნდა მიეთითოს სააუქციონო პირობებად.

9. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს სხვა სააუქციონო პირობებიც, მათ

შორის პარკირების საფასურის გადახდის წესების დადგენა, პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთეული დგომისათვის პარკირების საფასურის მაქსიმუმის განსაზღვრა ან/და პარკირების წლიური საფასურის მაქსიმუმის განსაზღვრა.

10. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე აუქციონის ჩატარების მიმართ გამოიყენება კანონმდებლობით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში განკარგვის მიმართ დადგენილი წესები.

მუხლი 12. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის და აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე გარიგებათა გაფორმება და მათი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისმხრიდან ცალმხრივად შეწყვეტა

1. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით და აუქციონის წესით გადაცემისას მხარეებს შორის ფორმდება პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება.

2. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემისას ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

3. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმი (სააუქციონო ვაჭრობის ოქმი), ხოლო არსებობისას, საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმის (სააუქციონო ვაჭრობის ოქმის) დამტკიცების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისაღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება წერილობითია, მაგრამ იგი არ საჭიროებს სანოტარო ან/და სხვა წესით დადასტურებას (დამოწმებას), რაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია უძრავ ნივთებთან დაკავშირებით დადებული გარიგებების ფორმის მიმართ.

5. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა უფლება-მოვალეობებს და სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისას პირგასამტეხლოს ოდენობას.

6. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობები და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემაზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი სააუქციონო პირობები წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით.

7. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველია:

ა) გაფრთხილების მიუხედავად დაწესებულ ვადაში სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობა, მათ შორის, გაფრთხილების მიუხედავად სახელშეკრულებო პირობების განმეორებით დარღვევა;

ბ) დაკისრებული პირგასამტეხლოს დაწესებულ ვადაში გადაუხდელობა;

გ) გაფრთხილების მიუხედავად წინამდებარე წესის მოთხოვნების დარღვევა;

დ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ადგილს, რომელსაც მოიცავს გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, აღარ განსაზღვრავს პარკირების ადგილად;

ე) ადგილი, რომელსაც მოიცავს გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, საჭიროა კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხების, წყლის, კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის;

ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით ხელშეკრულების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს არ დაუბრუნდება უკვე გადახდილი საფასური და არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუნდაც აღნიშნული არ იყოს გათვალისწინებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით ხელშეკრულების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს უფლება აქვს წაიღოს პარკირების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები.

10. ამ მუხლის მე-7 პუნქტით, გარდა „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, ხელშეკრულების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს უფლება არ აქვს წაიღოს პარკირების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები. ამასთან, მას არ აუნაზღაურდება პარკირების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთების ღირებულება, თუნდაც აღნიშნული არ იყოს გათვალისწინებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

11. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემისას და აუქციონის წესით გადაცემისას გარიგების გაფორმებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

მუხლი 13. პარკირების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება

1. პარკირების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების საკითხები წესრიგდება პარკირების დაწესების თაობაზე ან/და პარკირების საფასურის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე სამართლებრივი აქტით.

2. პარკირების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება ვრცელდება მესამე პირის მიერ პარკირების ორგანიზების უფლების განხორციელების დროსაც, გარდა წინამდებარე წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 14. პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე

1. პარკირების საერთო ადგილებისათვის ძირთადად განისაზღვრება ქუჩები და სხვა საზოგადოებრივი სივრცეები, თუ წინამდებარე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პარკირების საერთო ადგილებად დასაშვებია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქუჩის განსაზღვრა, თუ რომელიმე ქუჩაზე ან ქუჩის რომელიმე მონაკვეთში განთავსებული არ არის „დგომა აკრძალულია“, „გაჩერება აკრძალულია“ ან „შესვლა აკრძალულია“ საცნობარო ნიშანი.

3. აკრძალულია საერთო პარკირების ადგილებად ტროტუარების განსაზღვრა.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების პარკირების ადგილებად განსაზღვრისას აკრძალულია ქუჩის ერთსა და იმავე მონაკვეთში უშუალოდ მოპირდაპირე ორივე მხარის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქუჩას გააჩნია გზაგამყოფი და გზაგამყოფის თითოეულ მხარეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა არის ცალმხრივი ან/და, როცა აღნიშნულ ნაწილში ქუჩის სიგანე არის 18 მეტრზე მეტი.

5. აკრძალულია საერთო პარკირების ადგილებად ქუჩების გარდა სხვა საზოგადოებრივი სივრცეების განსაზღვრა, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული არ არის პარკირების დაშვების საცნობარო ნიშანი.

6. აკრძალულია პარკირების საერთო ადგილებად განსაზღვრულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების, სხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და მისიების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადგილსამყოფელი შენობა-ნაგებობების ძირითადი შესასვლელების უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიების პარკირების საერთო ადგილებად გამოყენება. ასეთი ადგილები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ორგანოს (დაწესებულების) მიერ მხოლოდ სამსახურებრივი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

7. პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერია, მათ შორის, განსაზღვრავს პარკირების საერთო ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესებს (პარალელური დგომა, 90- გრადუსიანი დგომა ან/და 45-გრადუსიანი დგომა).

8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერია.

მუხლი 15. პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და

სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე

1. პარკირების საერთო ადგილები შეიძლება მოეწყოს ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე, წინამდებარე წესით დადგენილი წესების დაცვით.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილებას მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერია, თუ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ხდება საფასურის დაწესება.

3. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილის მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან/და მოსარგებლე განცხადებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. განცხადებასთან ერთად დაინტერესებული პირი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების საერთო ადგილისათვის განკუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობისა (მათ შორის, შესაბამისი საგზაო ნიშნებით აღჭურვას) და ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესებს (პარალელური დგომა, 45-გრადუსიანი დგომა ან/და 90-გრადუსიანი დგომა), ასევე მიწის ნაკვეთზე საკუთრების ან/და სარგებლობის დამდგენ დოკუმენტს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერია წარმოდგენილ განცხადებას იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი რეგისტრაციიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია და მისი დარღვევის შემთხვევაში პარკირების საერთო ადგილების მოწყობაზე გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად. შესაბამისად, ამ პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უფლება არ აქვს უარი უთხრას დაინტერესებულ პირს პარკირების ადგილების მოწყობაზე.

5. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილების მოწყობის ან მოწყობაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერიის მიერ მიიღება წერილის სახით.

6. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილების მოწყობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ადგენდეს ტერიტორიის წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შესაბამისად მოწყობის ვადებს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დადგენილი ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის დადგენილი ვადისა. დადგენილი ვადის გაგრძელების

მოთხოვნით მიმართვა ხდება ვადის გასვლამდე. სხვა შემთხვევაში ვადა ითვლება დარღვეულად.

8. პარკირების საერთო ადგილებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად დადგენილი ვადის დარღვევისას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული თანხმობა ითვლება ძალადაკარგულად, რაც არ საჭიროებს ცალკე (დამატებითი) გადაწყვეტილების მიღებას. ასეთ დროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე პარკირების საერთო ადგილების მოწყობის მოთხოვნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართავს ახალი განცხადებით, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციული წარმოება იწყება თავიდან.

9. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მოთხოვნები.

10. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მუხლი 16. პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საერთო წესები

1. პარკირების საერთო ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირება, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებული არ არის პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა.

2. პარკირების საერთო ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომა არ ჩაითვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების დარღვევად, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომა ხდება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისათვის საჭირო დროით.

3. წინამდებარე წესის მე-18 მუხლის მე-5, მე-7 და მე-9 პუნქტების შესაბამისად ტაქსად გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილზე დგომა არ ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

4. წინამდებარე წესის 22-ე მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად პარკირების საერთო ადგილზე იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომა, რომლებიც ახორციელებენ ტვირთის სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაზიდვა-გადატანას, არ ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

5. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილებზე პარკირება დასაშვებია, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ პარკირების დაწყებისა და დასრულების დროს არ ხდება მესამე პირისათვის მომსახურების გაწევა, თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ზოგადად არ არის აკრძალული კონკრეტული სახეობის ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომა ან გაჩერება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისათვის, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული არ ჰქონდეს ის საცნობარო ნიშანი, რომლის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებაც სავალდებულოა იმ მომსახურების გაწევის დროს, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების

განსაზღვრა. სხვა შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

7. ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება როგორც ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, სხვა ტერიტორიებზე პარკირების საერთო ადგილებზე, ისე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების საერთო ადგილებზე.

მუხლი 17. ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრა ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე

1. ტაქსების პარკირების ადგილებისათვის შეიძლება განსაზღვრულ იქნას ქუჩები და სხვა საზოგადოებრივი სივრცეები, ასევე ნებისმიერი ის მიწის ნაკვეთი, რომლიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე ან/და ექვემდებარება საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას.

2. ტაქსების პარკირების ადგილებად დასაშვებია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე არსებული ყველა ქუჩის მთლიანად ან ნაწილობრივ განსაზღვრა, თუ რომელიმე ადგილზე განთავსებული არ არის „დგომა აკრძალულია“, „გაჩერება აკრძალულია“ ან „შესვლა აკრძალულია“ საცნობარო ნიშანი.

3. აკრძალულია ტაქსების პარკირების ადგილებად ტროტუარების განსაზღვრა.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების ტაქსების პარკირების ადგილებად განსაზღვრისას აკრძალულია ქუჩის ერთსა და იმავე მონაკვეთში უშუალოდ მოპირდაპირე ორივე მხარის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქუჩას გააჩნია გზაგამყოფი და გზაგამყოფის ქუჩის თითოეულ მხარეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა არის ცალმხრივი.

5. აკრძალულია ტაქსების პარკირების ადგილებად განსაზღვრულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისადმინისტრაციული ორგანოების, სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების, სხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და მისიების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადგილსამყოფელი შენობა-ნაგებობების ძირითადი შესასვლელების უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიები.

6. ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისაღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია დააწესოს ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალება (დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობა) ტაქსების პარკირების ადგილებზე პარკირებისათვის (ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა, ტექნიკური მდგომარეობა, გამოშვების წლის მინიმუმის განსაზღვრა, ფერი, მუდმივი საცნობარო ნიშანი, საცნობარო ნიშანი, რომლიც გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ უშუალოდ მომსახურების გაწევის დროს, მძღოლის უნიფორმა და სხვა).

მუხლი 18. ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე

1. ტაქსების პარკირების ადგილები შეიძლება მოეწყოს ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე, წინამდებარე წესით დადგენილი წესების დაცვით.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია დააწესოს ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალება (დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობა) ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილებზე პარკირებისათვის (ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა, ტექნიკური მდგომარეობა, გამოშვების წლის მინიმუმის განსაზღვრა, ფერი, მუდმივი საცნობარო ნიშანი, საცნობარო ნიშანი, რომლიც გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ უშუალოდ მომსახურების გაწევის დროს, მძღოლის უნიფორმა და სხვა).

3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილებას მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

4. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილის მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე განცხადებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. განცხადებასთან ერთად დაინტერესებული პირი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ტაქსების პარკირების ადგილისათვის განკუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობას (მათ შორის, შესაბამისი საგზაო ნიშნებით აღჭურვას), ასევე მიწის ნაკვეთზე საკუთრების ან/და სარგებლობის დამდგენ დოკუმენტს.

5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერია წარმოდგენილ განცხადებას იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი რეგისტრაციიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია და მისი დარღვევის შემთხვევაში ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობაზე გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად. შესაბამისად, ამ პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უფლება არ აქვს უარი უთხრას დაინტერესებულ პირს ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობაზე.

6. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობის ან მოწყობაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიიღება წერილის სახით.

7. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ადგენდეს ტერიტორიის წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შესაბამისად მოწყობის ვადებს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად დადგენილი ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის დადგენილი ვადისა. დადგენილი ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართვა ხდება ვადის გასვლამდე. სხვა შემთხვევაში ვადა ითვლება დარღვეულად.

9. ტაქსების პარკირების ადგილებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად დადგენილი ვადის დარღვევისას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული თანხმობა ითვლება ძალადაკარგულად, რაც არ საჭიროებს ცალკე (დამატებითი) გადაწყვეტილების მიღებას. ასეთ დროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან/და მოსარგებლე ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობის მოთხოვნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართავს ახალი განცხადებით, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციული წარმოება იწყება თავიდან.

10. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მოთხოვნები.

11. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მუხლი 19. ტაქსების პარკირების ადგილებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ იმ მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილებას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალება ტაქსების პარკირების ადგილებზე, მათ შორის ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილებზე პარკირების მიზნით, წარდგენილი დოკუმენტებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმების (დათვალიერების) საფუძველზე იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე წერილის სახით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ უნდა ადგენდეს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც დაწესებულია ტაქსების პარკირების ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია მოწვეული იქნენ დარგის სპეციალისტები, კონსულტანტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა პირები. ამავე მიზნით შესაძლებელია შეიქმნას შესაბამისი კომისია.

3. ტაქსების პარკირების ადგილებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს ექვსი თვის

განმავლობაში, თუ ამავე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ტაქსების პარკირების ადგილებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითვლება ძალადაკარგულად, რაც არ საჭიროებს ცალკე (დამატებითი) გადაწყვეტილების მიღებას.

4. დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების ვადაში ავტოსატრანსპორტო საშუალების ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეობისას, ტაქსების პარკირების ადგილებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითვლება ძალადაკარგულად, რაც არ საჭიროებს ცალკე (დამატებითი) გადაწყვეტილების მიღებას.

5. ტაქსების პარკირების ადგილისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალადაკარულად გამოცხადების შემთხვევაში დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერიის მიერ ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიიღება ახალი გადაწყვეტილება.

6. ტაქსების პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია თან იქონიოს დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისმერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

7. ტაქსების პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების მიზნით, ტაქსების პარკირების ადგილისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის შემოწმების მოთხოვნით დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. განცხადებასთან ერთად დაინტერესებული პირი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს პირადობის მოწმობის ასლს, მართვის მოწმობის ასლს, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ასლს, ავტოსატრანსპორტო საშუალების საკუთრების ან სარგებლობის დამდგენ დოკუმენტს და სხვა აუცილებელ დოკუმენტებს.

8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილ განცხადებას იხილავს, ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმებას ახდენს და დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის ან შეუსაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს განცხადების რეგისტრაციიდან ორი თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია და მისი დარღვევის შემთხვევაში დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად. შესაბამისად, ამ პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უფლება არ აქვს მიიღოს დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შეუსაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილება.

9. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მუხლი 20. ტაქსების პარკირების ადგილების სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

1. ტაქსების პარკირების ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება, რომლებიც ეწევიან მგზავრთა გადაყვანას, მაგრამ მათი საქმიანობა არ წარმოადგენს ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებს.

2. ტაქსების პარკირების მიზნით გამოყოფილ ადგილზე პარკირების უფლება აქვს მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომლიც აკმაყოფილებს ტაქსების პარკირების ადგილებისათვის დაწესებულ მოთხოვნებს.

3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის მგზავრების გადაყვანასთან ერთად იმ ტვირთვის გადაზიდვა, რომელიც თან აქვს მგზავრს, არ ცვლის ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების სფეროს.

4. აკრძალულია ტაქსად გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება იმ ადგილებზე, რომლებიც განკუთვნილი არ არის ტაქსების პარკირებისათვის.

5. ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის ტაქსების პარკირებისათვის, იმ დროით დგომა, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა ჩასხდომა-გადასხდომისათვის, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი არ თავისუფლდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

6. ტაქსში მგზავრთა ჩასხდომა-გადასხდომისათვის საჭირო დროის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია იმყოფებოდეს საჭესთან, ჩართული ჰქონდეს ძრავი და ავარიული მაშუქი. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

7. მგზავრის სვლაგეზის მიმართულებით მოძრაობის დროს ტაქსის დგომა პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის ტაქსების პარკირებისათვის, დასაშვებია მგზავრის საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ არაუმეტეს 15 წუთისა, რაც არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი არ თავისუფლდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია იმყოფებოდეს საჭესთან, ჩართული ჰქონდეს ძრავი და ავარიული მაშუქი. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

9. ავტოსატრანსპორტო საშუალების გაფუჭების შემთხვევაში, რაც გამორიცხავს მის დამოუკიდებლად გადაადგილებას, მისი შეკეთებისათვის საჭირო დროით ტაქსის დგომა პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის ტაქსების პარკირებისათვის, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება მძღოლის მიერ

დამოუკიდებლად შეუძლებელია და საამისოდ საჭიროა მესამე პირთა მიერ მომსახურების (სასყიდლიანი ან უსასყიდლო) გაწევა, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია გონივრულ ვადაში გადაიყვანოს ავტოსატრანსპორტო საშუალება ტაქსების პარკირების ადგილზე ან სხვა ადგილზე, სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება არ წარმოადგენს პარკირების წესების დარღვევას ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება განახორციელოს იმდაგვარად, რაც არ წარმოადგენს პარკირების წესების დარღვევას.

10. ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება როგორც ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, სხვა ტერიტორიებზე განსაზღვრულ ტაქსების პარკირების ადგილებზე, ისე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განსაზღვრულ ტაქსების პარკირების ადგილებზე.

მუხლი 21. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილების განსაზღვრა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე

1. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილებისათვის შეიძლება განსაზღვრულ იქნას ნებისმიერი საზოგადოებრივი სივრცეები, ასევე ის მიწის ნაკვეთი, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე ან/და ექვემდებარება საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას, თუ წინამდებარე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. აკრძალულია ამ მუხლით გათვალისწინებული პარკირების ადგილებად ქუჩებისა და ტროტუარების განსაზღვრა.

3. საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე ამ მუხლით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია დააწესოს ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალება (დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობა) ამ მუხლით გათვალისწინებულ პარკირების ადგილებზე პარკირებისათვის (ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა, ტექნიკური მდგომარეობა, გამოშვების წლის მინიმუმის განსაზღვრა, ფერი, მუდმივი საცნობარო ნიშანი, საცნობარო ნიშანი, რომლიც გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ უშუალოდ მომსახურების გაწევის დროს, მძღოლის უნიფორმა და სხვა).

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ პარკირების ადგილებზე, თუ პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემულია მესამე პირზე, მხოლოდ პარკირების ორგანიზების უფლების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით დასაშვებია მცირე ზომის კაფე-ბარების, საპირფარეშოების, საშხაპეების, ღია ავტოსამრეცხაოების და ოფისების მშენებლობა. პარკირების ადგილებზე, რომელსაც მოიცავს პარკირების

ორგანიზების უფლება, ამ პუნქტით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის უფლება აქვს პირს, რომელზეც გადაცემულია პარკირების ორგანიზების უფლება.

მუხლი 22. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილების განსაზღვრა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე

1. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილები შეიძლება მოეწყოს ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე, წინამდებარე წესით დადგენილი წესების დაცვით (შემდგომში – პარკირების ადგილები).

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია დააწესოს ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალება (დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობა) ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებზე პარკირებისათვის (ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა, ტექნიკური მდგომარეობა, გამოშვების წლის მინიმუმის განსაზღვრა, ფერი, მუდმივი საცნობარო ნიშანი, საცნობარო ნიშანი, რომლიც გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ უშუალოდ მომსახურების გაწევის დროს, მძღოლის უნიფორმა, და სხვა).

3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ადგილის მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების რეგულირებისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-18 მუხლის ნორმები.

მუხლი 23. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი

თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილებისათვის წინამდებარე წესის შესაბამისად დაწესებულია მოთხოვნები, ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საკით-ხების რეგულირებისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-19 მუხლის ნორმები.

მუხლი 24. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილების სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

1. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილებისათვის წინამდებარე წესის შესაბამისად დაწესებულია მოთხოვნები, პარკირების ამ ადგილებზე პარკირების უფლება აქვს მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომლიც აკმაყოფილებს პარკირების ადგილებისათვის დაწესებულ მოთხოვნებს.

2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ტვირთის გადაზიდვასთან ერთად ტვირთის მფლობელის ან სხვა პირის გადაყვანა არ ცვლის ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების სფეროს.

3. აკრძალულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომელიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირება იმ ადგილებზე, რომლებიც განკუთვნილი არ არის აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის.

4. აკრძალულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების, რომელიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილზე ტაქსების პარკირება.

5. ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, იმ დროით დგომა, რომელიც განკუთვნილია ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი არ თავისუფლდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

6. ავტოსატრანსპორტო საშუალების სვლაგეზის მიმართულებით მოძრაობის დროს დგომა პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, დასაშვებია პირადი ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ არა უმეტეს 15 წუთისა, რაც არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი არ თავისუფლდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

7. ავტოსატრანსპორტო საშუალების გაფუჭების შემთხვევაში, რაც გამორიცხავს მის დამოუკიდებლად გადაადგილებას, მისი შეკეთებისათვის საჭირო დროით ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომა პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება მძღოლის მიერ დამოუკიდებლად შეუძლებელია და საამისოდ საჭიროა მესამე პირთა მიერ მომსახურების (სასყიდლიანი ან უსასყიდლო) გაწევა, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია გონივრულ ვადაში გადაიყვანოს ავტოსატრანსპორტო საშუალება ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებების

პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილზე ან სხვა ადგილზე, სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება არ წარმოადგენს პარკირების წესების დარღვევას ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება განახორციელოს იმდაგვარად, რაც არ წარმოადგენს პარკირების წესების დარღვევას.

8. ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება როგორც საზოგადოებრივ სივრცეებში, სხვა ტერიტორიებზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებზე, ისე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებზე.

მუხლი 25. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქმედებების განხორციელების საკითხები

1. პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ მითითებულ უახლოესი პარკირების ადგილზე გადაყვანას. თუ შეუძლებელია უახლოესი პარკირების ადგილზე გადაყვანა, მაშინ ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაყვანა ხორციელდება სპეციალურ დაცულ სადგომზე .

2. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაყვანას პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს უსასყიდლოდ .

3. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე (მოსარგებლე) თავისუფლდება ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის საფასურის გადახდისაგან .

4. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისას პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საპატრულო პოლიციას.

5. ამ მუხლით განსაზღვრული რეგულაციები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ადგილი აქვს პარკირების წესების დარღვევას და მოცემული დარღვევისათვის გათვალის წინებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა .

მუხლი 26. წესის დარღვევა:

1. პარკირების წესების დარღვევას მიეკუთვნება:

ა) პარკირების საერთო ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დოგმა დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე;

ბ) პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება, რომლებისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა;

გ) პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილებზე დგომის დადგენილი წესების (პაალელური დგომა, 90-გრადუსიანი დგომა ან/და 45-გრადუსიანი დგომა) დარღვევით ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება;

დ) ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება, თუ აღნიშნული ადგილებისათვის განთავსებული არ არის პარკირების დაშვების საცნობარო ნიშანი;

ე) შესაბამისი საცნობარო ნიშნის არსებობისას, ქუჩის იმ ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება, სადაც აკრძალულია ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება;

ვ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება, რომლებისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრული არ არის პარკირების სპეციალური ადგილები;

ზ) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ, რომლებისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად გათვალისწინებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების სპეციალურ ადგილებზე დადგენილი წესის დარღვევით ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების განხორციელება;

თ) პარკირების სპეციალური ადგილებისათვის დაწესებული სხვა მოთხოვნების დარღვევა;

ი) პარკირების ორგანიზების უფლების დადგენილი წესის დარღვევით განხორციელება;

კ) პარკირების ადგილების დადგენილი წესის დარღვევით განსაზღვრა;

ლ) ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების ორგანიზების უფლების თვითნებურად განხორციელება;

მ) პარკირების საფასურის დადგენილი წესის დარღვევით დაწესება;

ნ) სხვა ქმედება, რომელთა განხორციელებაც წინამდებარე წესით აკრძალულია, ასევე ქმედება, რომლის განხორციელებაც ხდება წინამდებარე წესისაგან განსხვავებულად.

2. პარკირების წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრება ან გადახდა სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან.

3. ჯარიმის დაკისრების შემდეგ სამართალდამრღვევის მიერ იმა ვე საქმიანობის განხორციელება განიხილება ახალ სამართალდარღვევად.

მუხლი 27. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე (საჯარიმო სადგომზე) გადაყვანის საფუძვლები

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე (საჯარიმო სადგომზე) გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ამ დადგენილებით განსაზღვრული პარკირების წესების დარღვევის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას ისეთ ადგილას, რომელიც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას;

ბ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას საზოგადოებრივი (მუნიციპალური) ტრანსპორტის გაჩერებისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;

გ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას ტროტუარზე;

დ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას ავტობუსების გაჩერებაზე;

ე) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებები ხერგავენ/აბრკოლებენ მოძრაობას;

ვ) რომლებიც ხელს უშლიან კეთილმოწყობითი სამუშაობის წარმოებას (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მითითებით ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაყვანა მოხდება არა სპეციალურ სადგომზე);

ზ) სხვადასხვა ღონისძიებების დროს (სხვადასხვა სამსახურების მითითებით ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაყვანა მოხდება არა სპეციალურ სადგომზე);

თ) დგანან 3.27. „გაჩერება აკრძალულია“ და 3.28. „დგომა აკრძალულია“ ნიშნების ქვეშ შ.რუსთაველის ქუჩაზე, ე. ნინოშვილის ქუჩის დ. თავდადებულის ქუჩიდან პ. მელიქიშვილის ქუჩამდე მონაკვეთზე, ასევე ი. ჭავჭავაძის ქუჩის ი. გოგებაშვილის ქუჩიდან ნ. ბარათაშვილის ქუჩამდე მონაკვეთზე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ქუჩებზე ძირითადად საგზაო ნიშანთან ერთად განთავსებულია დამატებითი (ევაკუაციის) ნიშანი;

ი) დგანან გზაჯვარედინებთან მისასვლელ გზებზე 3.27. „გაჩერება აკრძალულია“ და 3.28. „დგომა აკრძალულია“ საგზაო ნიშნების ქვეშ, თუ ძირითად საგზაო ნიშანთან ერთად განთავსებულია დამატებითი (ევაკუაციის) ნიშანი.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე (საჯარიმო სადგომზე) გადაყვანა დასაშვებია:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ასეთ ადგილას განთავსებულია შესაბამისი საცნობარო ნიშანი (მინიშნება „ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას“);

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ ბ“ , „ გ“ , „ დ“ , „ ე“ , „ ვ“ , „ ზ“ , „ თ“ და „ ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ასეთ ადგილას განთავსებულია თუ არა შესაბამისი საცნობარო ნიშანი (მინიშნება – „ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას).

მუხლი 28. დასკვნითი დებულება

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №2

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმა, ვიზუალური სტანდარტი და ტექნიკური მახასიათებლები

1. გეომეტრიული პარამეტრები და ზომა:
საცნობი ნიშანი მზადდება საერთაშორისო A6 სტანდარტის მიხედვით. მისი ზომებია ზუსტად 105 მმ სიგანე და 148 მმ სიმაღლე. ბარათი ექვემდებარება ორმხრივ ლამინირებას გარე კლიმატური პირობებისადმი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
2. წინა მხარე (საჯარო/სამონიტორინგო სივრცე):
ინფორმაციის საჯაროდ აფიშირებით გამოწვეული დისკრიმინაციის პრევენციისა და მოქალაქის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, ბარათის წინა მხარე არ შეიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის არანაირ პერსონალურ მონაცემს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტო).
ა) ზედა ცენტრალურ ნაწილში – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გერბი და წარწერა: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშანი“;
ბ) ცენტრალურ ნაწილში – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო სიმბოლო (ლურჯ კვადრატულ ფონზე თეთრი ფერის ეტლის გამოსახულება);
გ) ქვედა მარცხენა ნაწილში – ბარათის უნიკალური სერიული ნომერი (შემდეგი ფორმატით: BAT-XXXX) და მოქმედების ვადა (დიდი შრიფტით, მაგ: „უვადო“ ან კონკრეტული თარიღი);
დ) ქვედა მარჯვენა ნაწილში – მაღალი გარჩევადობის უნიკალური QR კოდი, რომლის დასკანირებაც ხდება მუნიციპალური ინსპექციის მიერ და დაკავშირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ერთიან ციფრულ რეესტრთან (QR კოდი არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს).
3. უკანა მხარე (დაფარული/პერსონალური სივრცე):
ბარათის უკანა მხარე განკუთვნილია პერსონალური იდენტიფიკაციისთვის და იგი მიქცეულია ავტომანქანის სალონის შიდა მხარეს, რაც გამორიცხავს გარე პირთა მიერ პერსონალური მონაცემების დანახვას. უკანა მხარეზე სავალდებულო წესით განთავსდება:
ა) საცნობი ნიშნის მფლობელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ფოტოსურათი (ზომით 3x4);
ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სახელი და გვარი;
გ) პირადი ნომერი;
დ) საცნობი ნიშნით სარგებლობის პირობები:
„1. საცნობი ნიშანი ძალაშია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აგრეთვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე — მუნიციპალიტეტთაშორისი ურთიერთაღიარების პრინციპის შესაბამისად;
2. საცნობი ნიშანი უნდა განთავსდეს ავტომობილის საქარე მინის წინა მარჯვენა კუთხეში, გარედან კარგად ხილვად ადგილას;
3. საცნობი ნიშნის მესამე პირზე გადაცემა ან გასხვისება აკრძალულია, რაც გამოიწვევს საცნობი ნიშნის მოქმედების შეჩერებას 6 თვის ვადით.“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პარკირების საცნობი ნიშანი
DISABLED PARKING PERMIT

საცნობი ნიშნის №: BAT-XXXX
მოქმედების ვადა: --/--/202---მდე - /უვადო

საცნობი ნიშნით სარგებლობის პირობები:
1. საცნობი ნიშანი ძალაშია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
2. საცნობი ნიშანი უნდა განთავსდეს ავტომობილის საქარე მინის წინა მარჯვენა კუთხეში, გარედან კარგად ხილვად ადგილას.
3. საცნობი ნიშნის მესამე პირზე გადაცემა ან გასხვისება აკრძალულია, რაც გამოიწვევს საცნობი ნიშნის მოქმედების შეჩერებას 6 თვის ვადით.

(მფლობელის სახელი, გვარი)

(პირადი ნომერი)

გამცემი ორგანო: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ცხელი ხაზი: (0422) 27 26 26 | ვებ-გვერდი: batumi.ge

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები და პროექტის მიღებით გამოწვეული შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზია ის გარემოება, რომ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილება მოყვანილი იქნას მოქმედ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, მათ შორის, ზუსტდება ტერმინთა განმარტება. გამოყენებული იქნება ტერმინი ავტოსატრანსპორტო საშუალება და ამ დადგენილების მიზნებისათვის მისი მნიშვნელობა. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით ზუსტდება პარკირების ადგილების განსაზღვრის წესი ქუჩების გადაკვეთიდან დაშორებასთან დაკავშირებით და ის განისაზღვრება 5 მეტრით, ნაცვლად 3-4 მეტრისა, რაც შეესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის დანაწესს. აგრეთვე, ზუსტდება ავტომანქანის დგომის წესი, კერძოდ, მითითებული იყო მართობული, 90-გრადუსიანი და 45-გრადუსიანი, მართობული შეიცვალა სიტყვით „პარალელური“.

პროექტის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების წესის დამტკიცება. ამასთანავე, „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

პროექტის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.

პროექტის მიღება არ საჭიროებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატეითი ფინანსური რესურსის გამოყოფას.

პროექტის განხორციელება არ მოახდენს პირდაპირ გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

ა.ბ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და,

მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს

ა.გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის მიღებით ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს:

ასეთი არ არსებობს.

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ:

საქართველოს ორგანული კანონების „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“, აგრეთვე „იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანების თანახმად, პროექტი არ საჭიროებს სახელმწიფო ორგანოს წინასწარ დასკვნას.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება:

ასეთი არ არსებობს

ე) პროექტის ინიციატორი და წარმდგენია:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

პროექტის ავტორი და წარმდგენია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის სამსახური.

განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და
მუნიციპალური ორგანიზაციების
მართვის სამსახურის უფროსი რუსუდან ჟოჟაძე